ADDITIONAL AGREEMENT

ON AMENDMENTS TO THE AGREEMENT ON ENCUMBRANCE OF REAL ESTATE WITH NEGATIVE SERVITUDE OF APRIL 28, 2014

This **Additional Agreement** (hereinafter the "**Additional Agreement**") is made and entered into on 8 May, 2014 by and between:

BASEL LLC, a company organized and existing under the laws of Georgia, identification code 204469707 represented by Falk Siddhartha Sporri (citizen of Switzerland, passport number X1557026) ("**Basel**"), acting in accordance with a Power of Attorney dated July 19, 2013,

And

ACHARA + LLC, a company organized and existing under the laws of Georgia, identification code 205090890 represented by its Director, Valeri Chekheria (citizen of Georgia, p/n 01017011384) ("**Achara +**")

With the intention to amend and restate certain provisions of the **Agreement on Encumbrance of Real Estate with Negative Servitude dated April 28, 2014** (Notarization number of the signatures of the parties to the Agreement: N140410142) (hereinafter the "**Agreement**").

Achara + and Basel are hereinafter referred collectively the "**Parties**" and individually a "**Party**").

1. The following terms and conditions of the

დამატებითი შეთანხმება

2014 წლის 28 აპრილის უძრავი ქონების უარყოფითი სერვიტუტით დატვირთვის ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ეს **დამატებითი შეთანხმება** (შემდგომში - „**დამატებითი შეთანხმება**") დადებულია 2014 წლის 8 მაისს შემდეგ მხარეთა შორის:

შპს „ბაზელი", საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული და მოქმედი კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი: 204469707, რომელიც წარმოდგენილია მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ფალკ სიდჰარტა სპორის მიერ (შვეიცარიის მოქალაქე, პასპორტის ნომერი X1557026), რომელიც მოქმედებს 2013 წლის 19 ივლისს გაცემული რწმუნებულების შესაბამისად („**ბაზელი**"),

და

შპს „აჭარა+", საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული და მოქმედი კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი: 205090890, რომელიც წარმოდგენილია მისი დირექტორის, ვალერი ჩეხერიას მიერ (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 01017011384) („**აჭარა პლიუს**")

უძრავი ქონების უარყოფითი სერვიტუტით დატვირთვის შესახებ 2014 წლის 28 აპრილის ხელშეკრულების (ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმების სანოტარო მოქმედების ნომერი: N140410142) (შემდგომში - „**ხელშეკრულება**") ცალკეულ დებულებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით.

„აჭარა პლიუს" და „ბაზელი" ამიერიდან ერთობლივად მოიხსენება როგორც „**მხარეები**", ხოლო ცალ-ცალკე კი როგორც „**მხარე**".

1. ხელშეკრულების შემდეგ დებულებებში

Agreement shall be amended and restated as follows:

შეტანილ იქნება ცვლილებები და ჩამოყალიბდება ქვემოთ მოცემული რედაქციით:

1.1 Article 1, Subsection 1.1 of the Agreement shall be amended and defined as follows:

1.1 ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.1 By virtue of this Agreement Achara + agrees to encumber with negative servitude the following parts of the Achara + Property (with the cadastral code: 01.18.06.014.073):

1.1 ამ ხელშეკრულების ძალით „აჭარა პლიუსი“ თანხმაა უარყოფითი სერვიტუტით დატვირთოს „აჭარა პლიუსის ქონების“ (საკადასტრო კოდით 01.18.06.014.073) შემდეგი ნაწილები:

1.1.1 The A Zone – in accordance to Annex 2 hereto, 6953 sq.m. zone on the Property, marked in wide diagonal lines from left to right (also see Annex No.5: on the schematic drawing of the plot Servitude A is designated with yellow color in 6953 sq.m.). The A Zone can only be used for construction of buildings, having no more than 3 floors above ground level including roof, existing by the time of conclusion of SPA (topographic mark). For avoidance of doubt, the height of 3 floors shall be calculated from the ground level up, existing by the time of conclusion of the SPA, prior to any modifications to the land, if any.

1.1.1 A ზონა - დანართი N2-ის შესაბამისად, ქონებაზე არსებული 6953 კვ.მ. ფართობის მქონე ზონა, რომლიც მონიშნულია ფართო დიაგონალური ხაზებით მარცხნიდან მარჯვნივ (აგრეთვე იხ. დანართი 5 - მიწის ნაკვეთის სქემატურ ნახაზზე სერვიტუტი A აღნიშნულია ყვითელი ფერით, ფართობით 6953 კვ.მ.). A ზონა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ისეთი შენობების აღმართვისათვის, რომელიც არ აღემატება 3 სართულს სახურავის ჩათვლით მიწის იმ დონიდან, რომელიც არსებობს ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის (ტოპოგრაფიული ნიშნული). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, 3 სართულის დათვლა წარმოებს იმ მიწის დონის ზემოთ, რომელიც არსებობდა ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, მიწაზე განხორციელებული ნებისმიერი სამუშაოების ჩატარებამდე, არსებობის შემთხვევაში.

1.1.2 The B Zone – in accordance to Annex 2 hereto, 4994 sq.m. zone of the Property marked in medium diagonal lines from left to right crossed by narrow diagonal lines from right to left (also see Annex No.5: on the schematic drawing of the plot Servitude B is designated with blue color in 4994 sq.m.). The B Zone can

1.1.2 B ზონა - დანართი N2-ის შესაბამისად, ქონებაზე არსებული 4994 კვ.მ. ფართობის მქონე ზონა, რომლიც მონიშნულია საშუალო დიაგონალური ხაზებით მარცხნიდან მარჯვნივ და გადაკვეთილი ვიწრო დიაგონალური ხაზებით მარჯვნიდან მარცხნივ (აგრეთვე იხ. დანართი 5 - მიწის ნაკვეთის სქემატურ ნახაზზე სერვიტუტი B აღნიშნულია ცისფერი ფერით,

only be used for construction of buildings, having no more than 2 floors including roof above ground level, existing by the time of conclusion of SPA (topographic mark). For avoidance of doubt, the height of 2 floors shall be calculated from the ground level up, existing by the time of conclusion of the SPA, prior to any modifications to the land, if any.

ფართობით 4994 კვ.მ.). B ზონა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ისეთი შენობების აღმართვისათვის, რომელიც არ აღემატება 2 სართულს სახურავის ჩათვლით მიწის იმ დონიდან, რომელიც არსებობს ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის (ტოპოგრაფიული ნიშნული). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, 2 სართულის დათვლა წარმოებს იმ მიწის დონის ზემოთ, რომელიც არსებობდა ამ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, მიწაზე განხორციელებული ნებისმიერი სამუშაოების ჩატარებამდე, არსებობის შემთხვევაში.

1.2 Article 2, Subsection 2.1 of the Agreement shall be amended and defined as follows:

1.2 ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.1 Not later than 30 (thirty) business days from the execution of this Agreement, the Parties shall file a joint application to the Public Registry for the purpose of respective registration of the negative servitude defined herein in relation to Encumbered Properties.

2.1 „მხარეები“ კისრულობენ ვალდებულებას ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღისა საჯარო რეესტრს მიმართონ ერთობლივი განცხადებით „დატვირთულ ქონებაზე“ უარყოფითი სერვიტუტის დარეგისტრირების მიზნით.

1.3 Article 7, Subsection 7.6 of the Agreement shall be amended and defined as follows:

1.3 ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.6 ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7.6 This Agreement includes annexes as follows:

7.6 ეს ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ დანართებს:

7.6.1 Excerpt of the Achara+ Property and relevant cadastre map (Annex 1);

7.6.1 „აჭარა პლიუსის ქონების“ ამონაწერი და შესაბამისი საკადასტრო რუქა (დანართი 1);

7.6.2 Zoning map of the Achara+ Property, establishing the encumbered zones, as per this Agreement (Annex 2);

7.6.2 „აჭარა პლიუსის ქონების“ ზონირების რუქა, რომელიც ადგენს შეზღუდულ ზონებს, „ხელშეკრულების“ შესაბამისად (დანართი 2);

7.6.3 Excerpt of the A Zone Basel Property and relevant cadastre map (Annex 3);

7.6.3 „ბაზელის ქონების“ A ზონის ამონაწერი და შესაბამისი საკადასტრო რუქა (დანართი 3);

7.6.4 Excerpt of the B Zone Basel Property and relevant cadastre map (Annex 4);

7.6.4 „ბაზელის ქონების“ B ზონის ამონაწერი და შესაბამისი საკადასტრო რუქა

7.6.5 Schematic and Cadastral measurement

drawings with the respective electronic version prepared by Horizon 2009 LLC on 06.05.2014 (Agreement No. 782/3) (Annex 5);

7.6.6 Cadastral measurement drawing with the respective electronic version prepared by Horizon 2009 LLC on 02.05.2014 (Agreement No. 782.2) (Annex 6);

7.6.7 Cadastral measurement drawing with the respective electronic version prepared by Horizon 2009 LLC on 02.05.2014 (Agreement No. 782.1) (Annex 7).

(დანართი 4);

7.6.5 შპს „ჰორიზონტი 2009“-ს მიერ 06.05.2014წ. (ხელშ. #782/3) მომზადებული მიწის ნაკვეთის სქემატური და საკადასტრო აზომვითი ნახაზები მათი ელექტრონული ვერსიით (დანართი 5);

7.6.6 შპს „ჰორიზონტი 2009“-ს მიერ 02.05.2014წ. (ხელშ. #782.2) მომზადებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი მისი ელექტრონული ვერსიით (დანართი 6);

7.6.7 შპს „ჰორიზონტი 2009“-ს მიერ 02.05.2014წ. (ხელშ. #782.1) მომზადებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი მისი ელექტრონული ვერსიით (დანართი 7).

2. All other terms and conditions of the Agreement shall remain unchanged in full force and effect in the form and content set forth in the Agreement.

2. ხელშეკრულების ყველა დანარჩენი დებულება უცვლელად რჩება ძალაში და მოქმედებს ხელშეკრულებაში მითითებული ფორმითა და შინაარსით.

3. This Additional Agreement constitutes integral part of the Agreement and shall be construed together and in accordance with the Agreement.

3. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიმარტება მასთან ერთად და მასთან შესაბამისობაში.

Signatures and details of the Parties:

/----------/

Falk Siddhatha Sporri

ბაზელი/ Basel
Represented by/წარმოდგენილი
Mr. Falk Siddhatha Sporri/ფალკ სიდჰარტა სპორი

მხარეთა ხელმოწერები და მონაცემები:

/----------/

Achara+/აჭარა პლიუს
Represented by/წარმოდგენილი
Valeri Chekheria/ვალერი ჩეხერია

Translator /თარჯიმანი: ხათუნა ჯაფარიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140461332 *N140461332*
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	08.05.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	39940539274014 *39940539274014*

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

ორი ათას თოთხმეტი წლის **რვა მაისს** მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, ვამოწმებ **ვალერი ჩეხერიას** (დაბ. 08.11.1980წ. მცხ. **თბილისი ტ.შევჩენკოს ქ. N 1 ბ. 10.** პირადი №01017011384), **ფალკ სიდჰარტა სპორის** (დაბ: 18.06.1971წ. რეგ. მისამართი: ბართველი, ციურიხი. მცხოვრები: თბილისი, სოლოლაკის ხეივანი 8. პასპორტი X1557026, გაცემული EDA ბერნში, 02.05.2011წ.) და **რუსუდან ჭკუასელის** (დაბ. 05.01.1988წ. მცხ. **თბილისი ტარიელის ქ. N8.** პირადი №01017027460), **ხელმოწერათა ნამდვილობას.** ხელმოწერა შესრულებულია მათ მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით. ხელმომწერებს განემარტათ, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, რაზედაც მათ განაცხადეს თანხმობა. დოკუმენტზე ხელმომწერთა პირადობა დადგენილია. დოკუმენტი წარმოდგენილია სამ ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენაზე, მასზე დამოწმებულია სულ ცხრა ხელმოწერა.

სანოტარო საზღაური – 18 (თვრამეტი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. №507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31, აგრეთვე დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად, სულ 23.24 (ოცდასამი და 24) ლარი.

ნოტარიუსი: /ნინო ხოფერია/
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №28/2



484400
484450
484500
484550
484600
4613650
4613600
4613550
4613500
4613450
4613400
4613350
N
W
E
S
A
B
C
C
121.20 m
50.58 m
49 m
40 m
46.45 m
148.77 m
40.00 m
39.87 m